დისკურსები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ ქართული ნაციონალური იდენტობის კონტექსტში

ლორენა ლომიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2017

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლორენა ლომიძე,

20.06.2017

აბსტრაქტი

ომი საერთაშორისო პოლიტიკის უმთავრესი პრობლემაა, რომლის გამომწვევ მიზეზად ხშირად ნაციონალიზმი სახელდება. ნაშრომში ცენტრალური ადგილი უჭირავს 2008 წლის, რუსეთ-საქართველოს ომში არსებულ რელიგიურ და პოლიტიკურ ნაციონალიზმს. რუსეთის ფართომასშტაბიან სამხედრო შემოსევაზე მრავალი საექსპორტო ნარკვევი, წერილი თუ დიპლომატიურ-სამართლებრივი დოკუმენტი შეიქმნა. ჩემს ინტერესს იწვევს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების არაერთგვაროვნება და აქტუალურობა. დისკურს ანალიზისა და სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით შევისწავლე ის ძირითადი ნაციონალური ასპექტები, რომლებიც კარგად ჩანდა 2008 წლის ომის პერიოდში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რიტორიკასა და ეკლესიის მიერ გაკეთებულ შეფასებებში. ასევე ყურადღება ეთმობა, რუსეთის როგორც ,,მტრის ხატის“ ფორმირებას ქვეყნის შიგნით არსებულ პროცესებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *ომი, ნაციონალიზმი, რუსეთ-საქართველოს ომი, პოლიტიკური ნაციონალიზმი, ეკლესიის დამოკიდებულება, ნაციონალური ასპექტები*

Abstract

War represents the main problem of the International Politics and its defiant reason is named as Nationalism. The central place in the thesis is held by the existing religious and political nationalism in 2008 Russian-Georgian War. About Russia's large-scale military invasion has been created an expert essay, letter or diplomatic-legal documents. I am interested in the heterogeneity and actuality of Russian-georgian Relations. Via discourse-analysis and depth interview, I have investigated the main national aspects that clearly were shown in 2008 War period and rhetoric of President Mikheil Saakashvili and evaluations of the Church. As well, attention is paid to the formation of Russia's as the ,,Image of the Enemy'' in the existing processes inside the Country.

Key Words: *War, Nationalism, Russian-Georgian War, Political Nationalism, Relationship of Church, National Aspects.*

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ ემზარ ჯგერენაიას და თანახელმძღვანელს, სანდრო გაბისონიას მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის. ასევე, იმ ადამიანებს, რომლებიც ჩაერთვნენ კვლევის პროცესში და დახმარება გამიწიეს სათანადო მასალების მოპოვებაში.